


# მაგალითი 1



- **12/03** - დაანგარიშების თარიღი
- **06/04** - გადახდის თარიღი
- შემოიტანა **მინიმალური** თანხა დროულად
- **12/04** - შემდეგი დაანგარიშების თარიღი - დაერიცხა პროცენტი
- **15/04** - კლიენტმა შემოიტანა სრული თანხა (დაანგარიშებიდან 3 დღეში)
- **12/05** - კლიენტს კიდევ დაუანგარიშდა პროცენტი.

## რატომ დაერიცხა ისევ პროცენტი ბოლო დაანგარიშებაზე, თუ თანხა შემოიტანა სრულად?




კლიენტმა **სრული** თანხა შემოიტანა **დაანგარიშებიდან 3 დღეში**. შესაბამისად, **%-ების დარიცხვა ამ სრული თანხის შემოტანამდე გრძელდებოდა**. ამიტომ შემდეგ დაანგარიშების თარიღში მოხდა ამ **3 დღის %-ის კალკულაცია**.

# მაგალითი 2

- **12/03** - დაანგარიშების თარიღი
- **06/04** - გადახდის თარიღი
- **15/03** - აითვისა **100 ლარი**
- **12/04** - დაანგარიშების დღეს აითვისა **200 ლარი**
- **12/04** - დაანგარიშების დღეს, ინვოისმა (გამოჩნდა 13/04-ში) 0%-იანი კირობით სარგებლობისთვის მოითხოვა **300 ლარის** გადახდა **06/05-მდე**.

## რატომ მოითხოვა ინვოისმა დაანგარიშების დღეს გატანილი 200 ლარის შემოტანა 25 დღეში? კლიენტს ხომ 55-დღიანი საშუალებით კერიოდი აქვს?




კლიენტს **ყველა ტრანზაქციაზე აქვს მინიმუმ 25 და მაქსიმუმ 55-დღიანი საშუალებით კერიოდი**. ვინაიდან, დაანგარიშება ხდება **დღის ბოლოს**, პროგრამა ხედავს, რომ **200 ლარი გატანილია დავალიანების დაანგარიშებამდე** - ამიტომაც 12/05-ის ინვოისმა, რომელიც გამოჩნდა 13/05-ში, მოითხოვა დაანგარიშების დღესაც გატანილი თანხის შემოტანა დაფარვის თარიღამდე (+25 დღეში).

# მაგალითი 3

- **12/03** - დაანგარიშების თარიღი (მანამდე ათვისებული ჰქონდა თანხა)
- **06/04** - გადახდის თარიღი
- **30/03** - აითვისა თანხა
- **31/03** - შემოიტანა **უპროცენტო კრედიტით სარგებლობისთვის დასაფარი** თანხა
- **11/04** - კიდევ აითვისა თანხა
- **12/04** - შემდეგი დაანგარიშების თარიღი - **არ დაერიცხა პროცენტი**

## რატომ არ დაერიცხა პროცენტი, ნაშთი ხომ არ იყო განუღებელი?



**უპროცენტო კრედიტით სარგებლობისთვის** იფარება ის თანხა, რაც 12/03-ის დაანგარიშების თარიღშია მოცემული. თუ ახალ დაანგარიშების კერიოდში კლიენტმა აითვისა თანხები, მას მაინც შეუძლია **ბოლო დაანგარიშების კერიოდში ათვისებულ თანხებზე** ისარგებლოს უპროცენტო კრედიტით 12/03 დაანგარიშების მიხედვით თანხის შემოტანის შემთხვევაში.